ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №5-ის მიმდებარედ

მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის დემონტაჟის პროექტი

სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის განმარტებითი ბარათი

შესრულა:

შ.პ.ს "არქი-სტილი" 2023 წ

შ ე მ ა დ გ ე ლ ო ბ ა

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი
II. სადემონტაჟო ობიექტის დასხელება
III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა
IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები
V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები
VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი
VII. სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება
VIII. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება და გატანა
IX. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი ,,დო-1“ -სადემონტაჟო გენგეგმა

გ) სადემონტაჟო შენობის ფოტომასალა

განმარტებითი ბარათი

I შესავალი

ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი #5 ის მიმდებარედ ,, სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი“ დამუშავებულია შპს ,,არქი-სტილი"-ის მიერ.

წარმოდგენილი ,,სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1. სნდაწ 3.01.01-85 - ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03.-85 - ,,მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ III-4-80 - ,,უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“
4. სნდაწ 3.02.01-87 - ,,მიწის ნაგებობების უსაფრთხოების წესები“
5. ტექნიკური რეგლამენტი ,,მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“
6. ტექნიკური რეგლამენტი ,,შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“
7. ტექნიკური რეგლამენტი ,,სიმაღლეზე მუშაობის უასაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“
8. საქრთველოს კანონი ,,ნარჩენების მართვის კოდექსი“
9. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილობა
10. ტექნიკური რეგლამენტი ,,ნარჩენების ტრანსპორტირების წესები“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85-ის მოთხოვნის თანახმად შენობის დემონტაჟის შემსრულებელმა სამშენებლო ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს სამუშაოთა წარმოების პროექტის დამუშავება.

აკრძალულია შენობის დემონტაჟის სამუშაოების დაწყება დამტკიცებული ,,სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე.

აუცილებელი განხორციელდეს სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთის ტექნიკური ზედამხედველობა.

II სადემანტაჟო ობიექტის დახასიათება

სადემონტაჟო ობიექტის ქვეშ გათვალისწინებული ტერიტორია განთავსებულია ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი # 5 ის მიმდებარედ ,(ს.კ. 01.17.10.002.360). მიწის ნაკვეთი შპს" მოლი პლიუსი" ს საკუთრებაშია (ს.კ: 406284248) . პროექტი ითვალისწინებს წითელ ხაზებში მოქცეულ ნაკვეთზე მდებარე #1 შენობების დემონტაჟის ორგანიზების დაგეგმვას რიგითობისა და ეტაპების მიხედვით. მშენებლობის განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა განსაზღვრულია 8 თვით (იხ.კალენდარული გრაფიკი მოპ.-2). ნაკვეთის რელიეფი სწორი რელიეფისაა. ნაკვეთზე განთავსებულია ერთი ძველი შენობა ნაგებობა. შენობა ნაგებობა დიდი ხნის წინ წარმოადგენდა ავტოფარეხს, რომელიც ახლა დანგრეული და უფუნქციოა. მისი იერსახე ამახინჯებს არსებულ სიტუაციას და საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. მისი ავარიულობა ორთო ფოტოზეც ნათლად ჩანს. დამკვეთის სურვილია ძველი უფუნქციო შენობის დემონტაჟი და სამშენებლო მოედნის გასუფთავება.

შენობა ნაგებობა ძველი და არამდგრადია, რომლის გაბარიტებიცაა: 40,00მ / 54,00 მ. შენობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონიდან 4,15მ . შენობის ძირითადი კონსტრუქცია შედგება ბეტონის ფილებისგან (სინკარებისგან) , მონოლითისაგან და მეტალის ჩანართებისგან. შენობის არამდგრადობიდან და უსაფრთხოებიდან გამომდინარე შენობის დეტალური აზომვა ვერ ხერხდება. ანაზომები წარმოდგენილია მაქსიმალური სიზუსტით.

შენობის ფართი გარე კონტურით - 2160,00 კვ.მ
სამშენებლო მოცულობა - 8963,25 კუბ.მ
შენობის კონსტრუქციული სიმაღლე - 4,15მ
კონსტრ.სიმაღლე 0.00 ნიშნულის ქვემოთ - 0მ
კონსტრ.სიმაღლე 0,00 ნიშნულის ზემოთ - 4,15მ
შენობის კლასი - III კლასი

III სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობა

ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი #5 ის მიდმებარედ შენობების დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03.85 - ,,მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“ს და დამხმარე ,,სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსახღვრა“ის საფუძველზე, სადემონტაჟო სამუშაოთა ეტაპობრიობისა და შეთავსებადობის გათვალისწინებით და შეადგენს 8 თვეს.

ცალკეული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანმიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია ,,სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგითობა და ეტაპები

შენობების სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი - მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი - ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ სამუშაოებში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

1. დროებითი ღობის მოწყობა სადემონტაჟო ტერიტორიის შიგნით.
2. დროებითი შენობების მოწყობა
3. დროებითი სასწყობე მოედნების მოწყობა
4. სადემონტაჟო შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე ქსელებიდან და შენობის გარე კონტურის გათავისუფლება გარე ქსელებიდან. (არსებობის შემთხვევაში)
5. სახიფათო ზონების აღნიშვნა გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით დასიგნალებით.
6. მტვრისაგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების (შეფუთვა ფასადებზე) განხორციელება.

მეორე რიგის ძირითად სამუშაოებში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

#3 შენობის დემონტაჟი

I ეტაპი - საკედლე მასალის დემონტაჟი

II ეტაპი-სახურავის ელემენტების დემონტაჟი

III ეტაპი-რკინა-ბეტონის ფერმების დემონტაჟი

IV ეტაპი - კოჭების, რიგელებისა და სვეტების დემონტაჟი

V ეტაპი - კარ-ფანჯრებისა და კედლების დემონტაჟი

VI ეტაპი - საძირკვლების დემონტაჟი, ქვაბულის გრუნტით შევსება

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს ზემოდან ქვემოთ, სახურავიდან საძირკვლების ჩათვლით, ელემენტური დაშლის, გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის და დაშლა-მონგრევის მეთოდებით, დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიის შესაბამისად.

თითოეული სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) კომუნიკაციების, იატაკების, შეკიდული ჭერების დემონტაჟი;

ბ) ტიხრების, კარებებისა და ფანჯრების დემონტაჟი;

გ) მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი;

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) გადახურვის ელემენტების დემონტაჟი, კიბის ელემენტების დეონტაჟი;

ბ) მზიდი ელემენტების (რიგელების, კედლებისა და სვეტების) დემონტაჟი.

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის ბოლო ეტაპი არის საძირკვლების დემონტაჟი.

საძირკვლების დემონტაჟის შემდეგ წარმოშობილი ქვაბული უნდა შეივსოს გრუნტით.

,,სამუშაოთა წარმოების იპროექტ“-ში დეტალურად დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების რიგობრიობა და ეტაპები.

სადემონტაჟო შენობების მომიჯნავედ სხვა შენობები არ არის.

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობების სადემონტაჟო სამუშაოებთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნს დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანმიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან სადემონტაჟო შენობების ყველა კომუნიკაცია არსებობის შემთხვევაში.

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს ,,სამუშაოთა წარმოების პროექტი“.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლადუნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარება, განლაგება და მაქსიმალური წონა. მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჯო სამუშაოები სწარმოებს ,,ზემოდან-ვემოთ“, სახურავიდან-საძირკვლები“ს ჩათვლით. ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს. ,,სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“შ დამუშავდეს კონსტრუქციების ელემენტარული დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანმიმდევრობა. პირველ რიგში აუცილებლად დემონტირებული უნდა იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კონსტრუქციები და დეტალები. დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით. აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს სადემონტაჟო კონსტრუქციების დროებითი დამაგრება-დაჭერა, პირველ რიგში კი ავარიული კონსტრუქციებისა.

სადემონტაჟო სამუშაოების სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგებნაირად:

საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩით.

იატაკების დემონტაჟი უნდა მოხდეს ელემენტარულად ხელით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

კარებების, ფანჯრებისა, სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტალური დაშლით.

აგურისა და ქვის მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება სველი მეთოდით. ორი გზით:

1) ელემენტარული დაშლის გზით მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი აგურის და ქვის დემონტაჟი;
2) გამსხვილებულ ბლოკად დასლის გზით-მეორადი გამოყენებისთვის უვარგისი აგურისა და ქვის დემონტაჟი.

კედლებისა და ტიხრების დაშლისას გამოყენებული იქნას დროებითი ინვენტარული ხარაჩოები.

შენობის სართულებზე აკრძალულია გადახურვის ელემენტების და ასევე კედლების და ტიხრების დანგრევა პირდაპირი მონგრევის გზით (ქვედა გადახურვის კონსტრუქციების დაზიანების თავიდან ასაცილებლად)

მონოლითური რკ/ბეტონის გადახურვის ფილების და საძირკვლების ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი ხორციელდება დაშლა-მონგრევის მეთოდით, ხელით, პნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით აუცილებლობის შემთხვევაში, საძირკვლების დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს ექსკავატორ-კოდალას

გამოყენებით (გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც განლაგებულია შენობა-ნაგებობების მომიჯნავედ)

აგურის კედლების გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის შემთხვევაში ამ ბლოკების დემონტირება და ტრანსპორტირება მიწამდე ხორციელდება საავტომობილო ამწის დახმარებით.

გადახურვის ანაკრები რკ/ბეტონის ფილების დემონტაჟი ხორციელდება საავტომობილო ამწის საშუალებით, ელემენტალური დასლის მეთოდით, შემდეგნაირად;

1) ხდება გადახურვის ფილის პირაპირებისა და სარტყლების ბეტონის შრის დაშლა ხელით, სანგრევი ჩაქუჩით.
2) ხდება გადახურვის ფილის დაჭერა ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით და სარტყლის არმატურისა და ფილის ლითონის ჩასამაგრებელი დეტალების ჩაჭრა.
3) ამის შემდეგ განთავისუფლებული ფილა ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით დემონტირდება მიწაზე ან ავტომანქანაზე (გასატანად).

რკ/ბეტონის რიგელებისა და სვეტების დემონტაჟი ხორციელდება საავტომობილო ამწის დახმარებით, ელემენტალური დაშლის მეთოდით, მათი მომიჯნავე მზიდ ელემენტებთან.

პირაპირების ბეტონის დაშლისა და არმატურის კარკასის ჩაჭრის შემდეგ. სადემონტაჟო სამუშაოები წარმოებს სველი მეთოდით.

ლითონის ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი ხდება ელემენტური დაშლის მეთოდით, საავტომობილო ამწის დახმარებით.

სამშენებლო ნაგვის მოგროვება ხდება მცირეგაბარიტული ბულდოზერით, ხოლო მისი დატვირთვა ავტოთვიმცლელებზე ხორციელდება ექსკავატორით ,,უკუ ჩამჩა:, ჩამჩის ტევადობით 0,5 მ^3. სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ნაგავსაყრელზე ავტოთვითმცლელებით.

მეორადი გამოყენებისთის ვარგისი დემონტირებული მასალები, დეტალები და კონსტრუქციები გატანამდე დასაწყობდება სადემონტაჟო მოედანზე, ცალკეულ დროებით სასწყობო მოედნებზე. მათი შემდგომი გატანა ხდება ბორტული მანქანებით და სპეციალური (ფილამზიდი) მანქანით.

#1 შენობების სადემონტაჯო სამუშაოები (ანაკრები კონსტრუწციების დემონტაჟი; კედლების და სხვა ელემენტების გამსხვილებულ ბლოკებად დემონტაჯი; მძიმე დეტალებისა და ნაკეთობების დემონტაჟი; სამშენებლო ნაგვის ჩამღება და სხვა) ხორციელდება საავტომობილო ამწის დახმარებით, მაქსიმალური ტვირთამწეობით 40ტნ (მინიმალურ შვერაზე)

#2 შენობის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება საავტომობილო ამწის დახმარებით, მაქსიმალური ტვირთანწეობით 16 ტნ (ნინიმალურ შვერაზე)

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ამწის მოძრაობის სქემა მოცემულია სადემონტაჟო გენგეგმაზე (იხილეთ ნახ. ,,დო-1“. ამწის მიბმა შენობის გარე კონტურთან არის 4,0 მეტრი.

საავტომობილო ამწეები მუშაობენ როგორც ისრულ, ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები დაზუსტდეს ,, სამუშაოთა წარმოების პროექტ“ში

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

შენობების სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. სავტომობილო ამწე მაქს. თვირთამწეობით 40 ტნ -1 ცალი
2. სავტომობილო ამწე მაქს. თვირთამწეობით 16 ტნ -1 ცალი
3. ექსკავატორი ,,უკუჩამჩა“ ტევადობით 0,5 მ^3 -1 ცალი
4. ბულდოზერი (მცირეგაბარიტული) -1 ცალი
5. მოძრავი კომპრესორი -2 ცალი
6. ავტოთვითმცლელი -2 ცალი
7. ბორტული მანქანა - 1 ცალი
8. ექსკავატორი-კოდალა(აუცილებლობის შემთხვევაში) -1 ცალი

დემონტაჟისთვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები - -3 კომპ.
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩი -2 ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩი -1 ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი - 2 ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები 467 მ^2

VII. სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სმდაწ-III-4-80-,, უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით და ასევე სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს ,,სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები (დენი,წყალი, კანალიზაცია, გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები, განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიული კონსტრუქციები. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონის მაქსიმალური საზღვარი სადემონტაჟო შენობის გარე კონტურიდან შეადგენს 4,0 მეტრს. სახიფათო ზონა აუცილებლად უნდა მოექცეს სადემონტაჟო მოედნის დროებითი ღობის კონტურში და აღინიშნოს დღეღამურად კარგად დასანახი ნიშნებით და სიგნალებით.

დროებითი ღობის მოწყობის საკითხი დეტალურად დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე. დემონტაჟის განმახორციელებლად ორგანიზაციის მიერ.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო მოედანზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონაში.

დემონტაჟის სახიფათო ზონის მოცემული რადიუსი დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში ან უშუალოდ ადგილზე დემონტაჟის სამუშაოთა დაწყების წინ.

სადემონტაჟო მოედანზე მყოფი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები, რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები, დამცავი ჩაფხუტის, უსაფრთხოების ქამრების, რესპირატორების, დამცავი სათვალეების და სხვათა გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი საჰაერო ელ.გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი საჰაერო ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განაწესის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ სისტემური სწავლებები და ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში.

მხოლოდ ამ სწავლებების და ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე, მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს, დაემორჩილოს ამკრძალავ , გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს.

სამუშაოები უნდა შესრულდეს უშუალოდ უსაფრთხოების მენეჯერისა და სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

სადემაონტაჟო სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებაზე უშუალოდ პასუხისმგებელია უსაფრთხოების მენეჯერი და სამუშაოთა მწარმოებელი.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავთოთვითმცლელებით არსებულ ნაგავსაყრელზე (დაზუსტდეს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ)

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისაგან და ხმაურისაგან. ამ მიზნით სამუშაოთა წარმოებისას შეიფუთოს სადემონტაჟო შენობის ფასადები წვრილი მავთულბადით ან ტენტით.

ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებისათვის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების პერიოდში მიწის ნაკვეთის შიგა ტერიტორიაზე სადემონტაჟო შენობის ირგვლივ ეწყობა უსაფრთხოების ღობე.

VIII. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება და გატანა

დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“, საქართველოს მთავრობის #421 დადგენილების და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის #211 ბრძანების შესაბამისად.

შენობის დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობების და გატანის გეგმა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

1. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დროებითი დასაწყობება სადემონტაჟო მოედანზე.
2. სამშენებლო ნაგვის დატვირთვა და ტრანსპორტირება სადემონტაჟო მოედნიდან ნაგავსაყრელზე.
3. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანა სადემონტაჟო მოედნიდან

მეორადი სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები სადემონტაჟო მოედანზე უნდა დასაწყობდეს განცალკავებულ სასაწყობო მოედნებზე, სახეობების შესაბამისად.

სასაწყობე მოედნებზე დასაწობებული ყველა მეორადი სამშენებლო მასალა და კონსტრუქცია ზემოდან და გვერდებიდან უნდა დაიფაროს დამაგრებული დროებითი საფარით (ტენტით ან პოლიეთილენით), ხოლო მათ ქვემოთ მოეწყოს ხის დროებითი ფიცარნაგი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი და მოგროვილი ამტვერებადი სამშენებლო ნაგვის დროებით დაფარვას.

აკრძალულია მეორადი სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების დასაწყობება მათი დროებითი საფარით დაფარვის გარეშე.

სასწყობო მოედნები მოეწყოს ისე, რომ გამოირიცხოს მათზე ატმოსფერული ნალექების შეღწევა (მიწის დონიდან ამაღლება, მოედნის გვერდების შემოფარგვლა და სხვა)

სადემონტაჟო მოედანზე მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება უნდა მოხდეს ხანმოკლე ვადით.

აკრძალულია წვადი სამშენებლო ნარჩენების სადემონტაჟო მოედანზე დაწვა. ასევე აკრძალულია ზეთების და საპოხი მასალების არსებულ საკანალიზაციო არსებულ ქსელში ჩაშვება.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ტექნიკური რეგლამენტის ,,ნარჩენების ტრანსპორტირების წესები:ს თანახმად.

სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე ხორციელდება ექსკავატორით. ნაგვის დამუშავება ხდება სველი მეთოდით. ნაგვის ტრანსპორტირება ხდება ავტოთვითმცლელებით.

ავტოთვითმცლელებზე დატვირთული სამშენებლო ნაგავი ზემოდან უნდა დაიფაროს ტენტით, რადგან გამორიცხულ იქნას მისი ტრანსპორტირებისას გარემოს დაბინძურება.

სამშენებლო ნაგავი დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ ტრანსპორტირდება სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო მოედნიდან მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანას უზრუნველყოფს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაცია.

მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ტრანსპორტირება ხორციელდება ბორტული ავტომანქანითა და სპეციალიზებული ავტოტრანსპორტით (ანაკრები ფილების გატანა)

ავტომანქანებზე დატვირთული მეორადი სამშენებლო მასალები და ნაკეთეობები ზემოდან დაფარული უნდა იყოს ტენტით და პოლიეთილენით, რათა ტრანსპორტირებისაგან გამორიცხულ იქნას გარემოს დაბინძურება.

სადემონტაჟო მოედანზე მოეწყოს ავტომობილების ბორბლების სარეცხი კერხერი.

ანაკრები კონსტრუქციების დატვირთვა ავტომანქანებზე ხდება სპეციალურ ძარიანი ამწით, ხოლო მცირე მასის და გაბარიტების მქონე ნაკეთობების და დეტალების დატვირთვა ხდება ხელით.

მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ტრანსპორტირება მოხდეს ტექნიკურიი რეგლამენტის ,, ნარჩენების ტრანსპორტირების წესები“ს თანახმად.

ორთო ფოტო



თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა	ქ.თბილისი,დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №5 ის მიმდებარედ	სტადია	ფურცელი	ფორმატი
დირექტორი	ს.მაღლაკელიძე				მ.პ	მოპ-2	
დაამუშავა	ს.მაღლაკელიძე						
შეამოწმა	ს.მაღლაკელიძე			სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი	მასშტაბი	"არქი-სტილი"	
					–		

ორთო ფოტოზე დროებითი სამშენებლო ღობის მონიშვნა



თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა	ქ.თბილისი,დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №5 ის მიმდებარედ	სტადია	ფურცელი	ფორმატი
დირექტორი	ს.მაღლაკელიძე				მ.პ	მოპ-2	
დაამუშავა	ს.მაღლაკელიძე						
შეამოწმა	ს.მაღლაკელიძე			სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი	მასშტაბი	"არქი-სტილი"	
					–		

სამშენებლო გენ გეგმა



სამშენებლო ღობის ესკიზი



– დროებითი სამშენებლო ღობე მოეწყოს საკადასტრო საზღვრებში
– დროებითი სამშენებლო ღობე წარმოადგენს მიწაში ჩაბეტონებულ ლითონის მილკვადრატებზე ვერტიკალურად შეკიდულ თუნუქის პროფილირებულ ფურცელს სიმაღლე - 2,20 მ.. ძუჩის მხარეს ღობე მოეწყოს დამცავი გადახურვით

ექსლიკაცია

1. დაცვის ჯიხური
2. სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი და მუშების გასახდელი
3. დროებითი ელექტრო კარადა
4. დროებითი ტუალეტი
5. დროებითი სამშენებლო ღობე გადახურვით
6. დროებითი სამშენებლო ღობე
7. დროებითი ჭიშკარი
8. ავტო ტვირთმზიდი

– სამშენებლო გენგეგმა დამუშავებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული საკადასტრო გეგმისა და გენგეგმის საფუძველზე.
– სამშენებლო სამუშაოს ჩატარების დროს უსაფრთხოების მიზნით გაფრთხილებული იყოს ტერიტორიაზე გამავალი ყველა საინჟინრო კომუნიკაციის მფლობელი კომპანია
– სამშენებლო ღობე დამცავი გადახურვით განთავსდეს ძუჩის მხარეს

თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა	ქ.თბილისი,დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №5 ის მიმდებარედ	სტადია	ფურცელი	ფორმატი
დირექტორი	ს.მაღლაკელიძე				მ.კ	მოკ-2	
დაამუშავა	ს.მაღლაკელიძე						
შეამოწმა	ს.მაღლაკელიძე			სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი	მასშტაბი	"არქი-სტილი"	
					–		

ქ.თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №5 ის მიმდებარედ
არსებული ძველი ავტოსადგომის დაშლის
კალენდარული გრაფიკი

ს/კ: 01.17.10.002.360

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	განზ.	რაოდ.	1 წელი																							
				I თვე			II თვე			III თვე			IV თვე			V თვე			VI თვე			VII თვე			VIII თვე		
				10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30
1.	მოსამზადებელი სამუშაოები	დღე	30		30																						
2.	არს. სახურავის გადახურვის მოხსნა	დღე	40					40																			
3.	არსებული კარ-ფანჯრის დემონტაჟი	დღე	15								15																
4.	შიდა ტიხრების მოხსნა/დაშლა	დღე	35											35													
5.	გარე კედლების მოხსნა/დაშლა	დღე	35														35										
6.	პირველი სართ. არს. ბეტონის იატაკის დაშლა ანევმოჩაქუჩით	დღე	35																	35							
7.	არსებული ბეტონის ლენტური საძირკვლის დაშლა	დღე	40																				40				
8.	სამშენებლო ნაგვის გატანა	დღე	30														30										

თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა	ქ.თბილისი,დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №5 ის მიმდებარედ	სტადია / ფურცელი / ფორმატი
დირექტორი	ს.მაღლაკელიძე				მ.პ / მოპ-2 /
დაამუშავა	ს.მაღლაკელიძე				
შეამოწმა	ს.მაღლაკელიძე			სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი	მასშტაბი / "არქი-სტილი"
					–

არსებული სიტუაციის სურათები







თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა	ქ.თბილისი,დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №5 ის მიმდებარედ	სტადია	ფურცელი	ფორმატი
დირექტორი	ს.მაღლაკელიძე				მ.პ	მოპ-2	
დაამუშავა	ს.მაღლაკელიძე						
შეამოწმა	ს.მაღლაკელიძე			სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი	მასშტაბი	"არქი-სტილი"	
					–		

ᲐᲔᲠᲝ ᲤᲝᲢᲝ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐ





თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა	ქ.თბილისი,დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №5 ის მიმდებარედ	სტადია	ფურცელი	ფორმატი
დირექტორი	ს.მაღლაკელიძე				მ.პ	მოპ-2	
დაამუშავა	ს.მაღლაკელიძე						
შეამოწმა	ს.მაღლაკელიძე			სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი	მასშტაბი	"არქი-სტილი"	
					–		

ავტოფარეხის გეგმა

მ 1:200



შენიშვნა:
ნახაზი შესაძლებელია შეიცავდეს მცირედ უზუსტობას, ვინაიდან შენობა-ნაგებობა არამდგრადია და ვერ მოხერხდა შენობის დეტალური აზომვა

თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა	ქ.თბილისი,დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №5 ის მიმდებარედ	სტადია	ფურცელი	ფორმატი
დირექტორი	ს.მაღლაკელიძე				მ.პ	მოპ-2	
დაამუშავა	ს.მაღლაკელიძე						
შეამოწმა	ს.მაღლაკელიძე			სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი	მასშტაბი	"არქი-სტილი"	
					–		

ფასადი **G-A**

მ 1:120



ფასადი **A-G**

მ 1:120



შენიშვნა:
ნახაზი შესაძლებელია შეიცავდეს მცირედ უზუსტობას, ვინაიდან შენობა-ნაგებობა არამდგრადია და ვერ მოხერხდა შენობის დეტალური აზომვა

თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა	ქ.თბილისი,დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №5 ის მიმდებარედ	სტადია	ფურცელი	ფორმატი
დირექტორი	ს.მაღლაკელიძე				მ.პ	მოპ-2	
დაამუშავა	ს.მაღლაკელიძე						
შეამოწმა	ს.მაღლაკელიძე			სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი	მასშტაბი	"არქი-სტილი"	
					–		

ფასადი 1-9

მ 1:150



ფასადი 9-1

მ 1:150



შენიშვნა:
ნახაზი შესაძლებელია შეიცავდეს მცირედ უზუსტობას, ვინაიდან შენობა-ნაგებობა არამდგრადია და ვერ მოხერხდა შენობის დეტალური აზომვა

თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა	ქ.თბილისი,დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №5 ის მიმდებარედ	სტადია	ფურცელი	ფორმატი
დირექტორი	ს.მაღლაკელიძე				მ.პ	მოპ-2	
დაამუშავა	ს.მაღლაკელიძე						
შეამოწმა	ს.მაღლაკელიძე			სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი	მასშტაბი	"არქი-სტილი"	
					–		